

8/2 (40)

1978 იანვარი №1

საქართველოს
სტამბოლო

საჩუქრე





ზამთარი

ნუნუ ლალიძე

მოფრიალებს თოვლის ფიფქი,
 ფრი-ფრი-ფრიდი...
 ცის საცერი სორსოშელანს
 ფეცილივითა სცრის.
 მოზუსუნებს ცივი ქარი,
 ქრის-ქრის-ქრიდის...
 და ბედურა ჩვენს დობეზე
 აბუსუღლი თრთის.

პაპაჩაიის ხუჯინი

მოდარ შამანაძე

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

პაპაჩაიის სოფელში,
არის სოფლის ბურჯი,
რომ ჩაბოვბ, ჩამოიტანს
ჩვენთვის სასუეს სურჯინს.
ჩურჩუნსუღა და ჩამიჩია
სურჯინის ცაღ თვღღში,

მეორეში—ტყბილი ძვერი,
მსხალი, კომში, ვაშლი.
თუძცა ცოტა მოგვიჩსუცდა,
სიარული უჭირს,
მაგრამ მინც არ იმორებს
ჩვენთვის სასუეს სურჯინს.



ხეხილი ელსარე ამბოკაძისა

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



გურამ ბახტაძე


„სწორება კომუნისტებზე!“

„სწორება კომუნისტებზე!“ ასე ეწოდება საქართველოს ახალგაზრდა თაობის გადაძახილს: კომკავშირელები ერთმანეთს ეჯიბრებიან, — თუ ვინ უკეთ იშრომებს, შექმნის დოვლათს, გაზრდის სამშობლოს ბარაქას.

ვალდებულებების ასაღებად ერთმანეთის პირისპირ პიონერთა რაზმელებიც დადგნენ, გადაძახილში ისინიც ჩაებნენ.

კომუნისტებს ოქტომბრელებიც უსწორებთ მხარს. თქვენი ვარსკვლავიც ეჯიბრება თანატოლებს. ოქტომბრელები ნიობათს უმზადებთ კომკავშირის სახელოვან 60 წლისთავს.





ვახსკვლავი საავიო რაუტთან

კახა ბეურჯერ ვოფილა რკინიგზის სავაგონო დეპოში. იქ ზანაძისი მუშაობს. კახას ევვლაფერი მოსწონს დეპოში. მოკუგუნე საამქროებში მომუშავე ადამიანები გოლიანთებდა ჰეაჟს წარმოადგენილი. მაგრამ ეველანსე შეტად სანატო დაფასთან მისულა უხარია. იქ სომ ზანაძისის ფოტოსურათია გაკრული. სურათის ქვემოთ წერია, რომ კომუნისტი გიორგი აბაიშვილი არის მოწინავე მუშა, გამოძვრებული, რომ ახალგაზრდა თაობა მას უსწორებს მხარს.

ახლანს კახა კვლავ ეწვია სავაგონო დეპოს. არ იფიქროთ, რომ ინეჟ ზანაძე მიიწავიდა. არა, ზანაძე არც კი იცოდა, თუ კახა მივიდოდა. იმ დღეს ოქტომბრელები იქ ზიონერებმა მიიუვანეს.

სანატო დაფის წინ ხაშურის რკინიგზის 25-ე საშუალო სკოლის ოქტომბრელთა ორი ვარსკვლავი ჩამწვრივდა. კახას მეგობარმა—გიამ თავისი ვარსკვლავის სასკელით

თქვა, რომ ზირნთლად შესრულებენ ოქტომბრელთა წესებს, სკოლის ესკოში დარგულ ევავილებს მოუვლიან, 8 მარტისათვის დედებს მოუზადებენ საჩუქარს—ნასატს, ნაქარგს, ნაბერწს...

კახას მოეწონა ნათქვამი, ჩვენც ასე მოვიქცევითო, —თქვა. შემდეგ თავისი ვარსკვლავის წვერებს გადასედა და დაუმატა: „ცისკრის“ თამაშს მოვაწვობთო.

— კარგია, ეოჩად! —თქვეს სანატო დაფასთან მდგომმა კომკავშირელებმა, —შეჯობებში გიწვევთ. შესამე შეთსედი რომ დამთავრდება, შევამოწმთ, როგორ ვასრულებთ სიტყვას. გამარჯვებული ოქტომბრელების ფოტოსურათს კი აი, აქ, ამ დაფაზე მოვათავსებთ.

ოქტომბრელებს სასე გაუბრწეინდათ და ტაში შემოტარეს.

სწორედ ამ დროს კახამ ზანაძე მოჭრა თვალი.

იგი მორიდან უდიძოდა შეილიძვილს.

პირველი ჩივი

პარლო კომპარია

უზამთრო წელიწადი არც თქმულია და არც გავიწილა, უთოვლო ზამთარი კი, სულ ცოტა, ხუთი მაინც მახსოვს. ერთი ჩემს პატარა ბიჭობაში იყო: მთელი საში თვე ისე გავიდა, ფიქტივ არ ჩამოვადინილა. ჰოდა, უშუალო გვეყარა ციგები. მოვიდოდა ღამე, დაეძინებდით და ძილშიც თოვლიანი ზამ-

თარი გვესიზმრებოდა. ვათენდებოდა, წამოგნებოდა დილით და ახლა ცისკენ უურებოდა გველიც. ვიხილავდი კისერს. ცაზე კი ან თეთრი მზე ენთო, ან მალღამალღამა წასული თეთრი ღორბული იწეწებოდა, მოკლედ; ჩვენ ხომ ვწუხებით და ვწუხებით, დიდები უარესად იხევერებდნენ გულზე; უთოვლობას უშო-საველობა მოსდევსო. დიდები კიდევ, ვინ აღარ იცის, ყველაფერი დაეჯერებათ!

წავიდა ის უთოვლო ზამთარი, ყვავილების სურნელით გაიარა ვახაფხულმა, კალოზობით—ვაფხულმა, რთელით—შემოდგომამ და, მომდევნო ზამთარიც მოვიდა. მოვიდა და ერთ ღამეს ისეთი თოვლი დალო, დილით ფანჯრიდან რომ გავიხედე, თვალს არ დავუჯერე—ჩემი კბე კინაღამ შუამდე იჯდა თოვლში. ბიძაჩემი სიცილით შემოვიდა ოთახში, ჩურჩხელის ჯოხი შემოიყოლა, დამატკალა და თქვა:

— შარშანდელიც არ აინახლაურა, ამ დალოცვილმა!.. ჰო, აი, ნახვე, აქამდეა თოვლი,—ჩემს თავს ზემოთ ჯოხზე ერთი მტკაველი კიდევ გადაზომა,—ბევრი რომ არ გავეგრძელო, დღეს სკოლაში ვერ წახვალ, თოვლში დაიკარგები და ერთიც ენახოთ, ველარ გიპოვენთ, მაშინ?

იმ წელს მივედი სკოლაში და ვაკვეთილების გაცდენა როგორ შეიძლებოდა?! რაღა დაგვიმართო და, სატროლად მოვეშალე. შემატყო ბიძაჩემმა და ღიმილით მითხრა:

— შენ ოღონდ ეგ ხანჯალი ჩააგე ქარქაშში და სხვა რა გზაა, ავიცილებ და ისე წავიყვან!

მართლაც ამიქიდა და წამიყვანა სკოლაში. ძლივს მიაღრვევედა თოვლს. სკოლის საჩხში რომ ვადამომსევა, ისე იყო დალილი, სულს ძლივს ითქვამდა, პირისახიდან წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი, იმ ოფლს ორთქლი ასდიოდა.

— აქედანაც მე წავიყვან,—მითხრა ბიძაჩემმა და თავის გაცვალულ ბილიკს დაუყუა.

შესვლის ხარი რომ დავიხეკე, მერხებს მარტო საშინ ვუსხედით. მერე და მერე მოგვემატნენ დანარჩენები და მეორე ვაკვეთილზე უკვე აღარავინ გვაკალა.

ვიღრე ვაკვეთილები დამთავრებოდა, მთელი სოფელი გამოვიდა და ვინ არნადით, ვინ—ტყეპანა-ტყეპანით ბილიკებიც გაიყვანეს. ბილიკებიც გაიყვანეს და დიდი გზებიც გაწმინდეს. ბიძაჩემი მაინც ამოვიდა ჩემს წასაყვანად, მაგრამ გზა იყო და ჩემით დავბრუნდი შინ.



შინ რომ მივედი, ბუხარს მიდიცხებულო სერგო დაეინახე; ნემსი მოგმარჯუებინა და მოხალულ ზორბალს ასხამდა ძაფზე. ბებიამ მითხრა, ამისი შშობლები სხვაგან წაიღიდნენ და დაბინდებამდე ჩვენთან იჩნებაო. სერგო ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა, ერთი წლით იყო ჩემზე უფროსი და აკი სკოლაშიც ერთი კლასით იყო წინ.

ძაფზე ზორბლის ასხმას რომ მორჩა, მალე მოვალაო, წამოხტა და შინ გაიქცა. ათ წუთსაც არ ვაუფლია, დაბრუნდა და კაქანათი მოიტანა, კალათით კიდე—ზზე!

— რას აპირებ?—ლომილით ჰკითხა ბიძაჩემმა.

— ჩიტები უნდა დავიჭიროო.

— მერე, ვინ მოგცა ჩვენი ჩიტების დაჭერის უფლება?

— ჩიტები ცაში ფრენენ, ცა კი ყველასია.

— სწორია!—დაეთანხმა ბიძაჩემი,—მაგრამ ერთი ესეც მიბრძანე; გიშავებენ რამეს?

— ჩიტი იმისია, რომ უნდა დავიჭიროათ.

— ესეც სწორია!—ისევ დაეთანხმა ბიძაჩემი,—წამოდი და ერთად დავუგოთ კაქანათი,—კარი გამოვლო და მოტრიალდა,—ჩვენი კატა სად არის, კახავ, წელან აქ არ იყო?

მივხვდი, სასაცილოო, რაღაც ჩაიფიქრა და აკი მანხვე ვუთხარა:

— ტახტქვეშ შეძერებოდა, ვითომ არ იცი, უცხოისი რომ ეშინია!

არადა კატა არ გვეყავდა.

სახლის გვერდით, ლობესთან დავყარეთ ზზე, გავშალეთ, დავაგეთ კაქანათი და უკან გამოვბრუნდით. იმ დიდთოვლობამ ჩიტები მობუხა და დაამშია. სათივეებს, საბძლოებს, საჩეხებს, აივნებს ეტანებოდნენ. სიცივითა და შიმშილით მობუხული ჩიტის დაჭერა ხომ მთლად ცოდავა.

ამოვედით მერავე სართულზე, გადავიხედეთ ფანჯრიდან და ვხედავთ—კაქანათში უკვე გამშულია ჩიტი.

გაიქცა სერგო, გამოხსნა მკვლარი ჩიტი და კაქანათი ისევ დააგო.

ბიძაჩემმა მკვლარი ჩიტი გამოართვა, დახედა, გადაბრუნდა—გადმოაბრუნა და ჩილაპარაკა:

— საწყალი!.. ვის უხარია თოვლის მოსვლა, ვის, აი, ტანჯვად ეტყევა ხოლმე, ტანჯვად და სიკვდილად.—მერე წიგნების კარადის უჯრა გამოვლო,— აქ შევიინახოთ, თორემ ჩვენ ისეთი უბედურეი კატა გვეყავს, უტკველად მოგვპარავს,—მკვლარი ჩიტი ისე



ჩილო შარვლის ჯიბეში, სერგომ ვერ დაინახა, კარადის უჯრა კი გასაღებით დაეკეტა და ის გასაღებიც ჯიბეში ჩაიღო,—წაფალ შეშას ამოვიტან. კაქანათს არ დაუწყო უკრება, თორემ ჩიტები აღარ მიეკარებინან. მე ვიცი მაგათი გაბმის დრო და თქმითაც მე გეტყვი.

ეზოში ჩავიდა ბიძაჩემი და ორად ორი ღერი შეშის ნაპობი ამოიტანა, დაყარა და იკითხა:

— კაქანათს თუ უწყურებდით? უკვე გაეზმებოდა ჩიტი.



გადიხებდეთ — მართლაც გაბმულიყო. ვაიქცა სერგო და ამოიტანა, ბიძაჩემს მიაწოდა:

— ესეც ორი!

ბიძაჩემმა კარადის უჯრა გამოაღო, ჩიტი ისევ ჯიბეში ჩააპარა და უჯრაც ისევ გასაღებით დაკეტა.

— ჩაეღო, ღორს სიმიწინდს დაეუყრი, თორემ იქაურობას კუყვირილით აიკლებს.

არადა, ღორი არცა გვეყვება.

ამოვიღა ბიძაჩემი და გვეკითხა:

— კაკანათს ხომ არ უთვალთვალვდებით?

— არა, — უპასუხა სერგომ.

— მაშინ გაებმებოდა უკვე.

გადიხებდეთ ფანჯრიდან, — მართლაც გაბმულიყო. სერგო ვაიქცა და გამოხსნა. მე სიცილით გვედებო, ბებია კუქუქებებს, ბიძაჩემი კი ღლილითა გვტუქსავს ორივეს, ჩემად, არ გაგვიგოსო.

— ასეა, ხან შენს იმიზეზებს ბიძაჩემი, ხან — ღორს, ხან — ქათამს. გახარებულ სერგოს კიდევ ამოაქვს და ამოაქვს ის ერთი ჩიტი. მეცხრედ რომ ამოიტანა, სიხარულითა თქვა:

— ერთსაც გავაბამ და ათი იქნება! მერე შორჩა, კაკანათიც უნდა ამოვიტანო, თანაც საცაა დაბინდვლება კიდევაც.

— სწორია! — დაეთანხმა ბიძაჩემი, — ზოგი კიდევ ხვალ უნდა დაიჭირო, ჩიტია, ის ხომ არ არის, რა ჰქვია, ალანანი, არასოდეს რომ არ გამოილიოს.

სერგომ მეთედ ამოიტანა ჩიტი, მიაწოდა ბიძაჩემს, დასხვტილი კაკანათი ფანჯრის რაფაზე შემოაღწ და ხელების ფშენებით მიუჯდა ბუხარს:

— თქვენს ეზოში ბევრი ჩიტია, ხვალ კიდევ ოცი უნდა დაეიჭირო.

— ესეც სწორია! — ამბობს ბიძაჩემი, რა ხედავს რომ ათი დაიჭირო, რა გამოვა? ოცს ნამდვილად მეტია ათზე. — თან კარადის უჯრას ხსნის, — ბიძაჩემს! — გაიოცა უცებ, — მართო ერთი ჩიტიაა?!

სერგოს ეგონა მეხუმრებო და გაეღიმა.

— თუ გახსოვს, კახე, ღია ხომ არ დამჩნა უჯრა? — შეითხა ბიძაჩემმა.

— ჰო, ორჯერ თუ სამჯერ დაგავიწყდა დაკეტვა.

— ვერ უყურებ?! — მკერღზე მუშტი დაიბრაგუნა, — ოხმე, ჩვენს გაქუცულ კატას მოუპარავს!.. ერთხელაც იქნება, დავითრევ კულით!

— კატამ კი არა, შენ მომპარე! — აღრიალდა სერგო, დაავლო კაკანათს ხელი და კარისკენ ვაიქცა, — ჯერ ეუთხრა მაჩანქმა!

— უნდა უთხრა, მაშ, რატომაც არ უნდა უთხრა! — მილიმის ბიძაჩემი, — მართო შენ რომ იცოდე, იმას რა ფასი აქვს, თუ მძა ხარ!

— შენ მომპარე, შენ, შე ქურდო! — კარი გამოაღო სერგომ და გარეთ გავიარა.

ბიძაჩემს ეღიმიება.

— მაგისი კუყვისა როგორ ხდები. — ჯავრობს ბებია, — რას ერჩი, ბაღლია, გაიხაროს!

— ჩალი, კახე, ღორს სიმიწინდი დაუყარე, — სერიოზულად მითხრა ბიძაჩემმა.

ახლა კი ბებიაც კვდება სიცილით.

— ის რა გავადარა, ჰა, ქურდი ხარო, კაცო, ქურდიარო. — შეღიმიება.

— ქურდი ვარ, მაშ, ვინა ვარ, — ცხრა ჩიტი მოვბარე, ცხრა ჩიტს ვაჩუქე სიკოცხლე, ეგვრე, აბა, გაიხიდე, იმ ჩიტებს რა ყოფა აქვთ ჩვენს ივიანზე.



ნახატები თამაზ ხუციშვილისა



სანდრიკა

ალექსანდრე ქუთათელი

ჟამმა თუ ვერ დამამხო,
 კირმა თუ ვერ გამდრიკა,—
 მე ვუმაღლი შეილიშვილს,
 ჩემს პატარა სანდრიკას.
 დიდდამ რომ აღერსით
 შფარქვა—„ბუსკუნჩულე“
 და სამშობლოს სიყვარულს
 ყოველდღე უჩურჩულებს.
 ჩამოვკიდეთ ფარ-ხმალი,
 მზისაგან რომ კაშკაშებს
 და თუმცა ჯერ ბაღლია,—
 ტოლს არ უღებს ვაჟკაცებს,

დაიფრინა დევები,
 მთის იქით გადადგნა,
 ავტომატი თავისი
 კვლავ ვაზნებით დატენა.
 დაუშინა მტრის ჯარებს
 ქვემეხი და შაშხანა
 და აუშვა თბილისში
 გამარჯვების მაშხალა...
 ასეთია სანდრიკა,—
 უშიშარი, მამაცი,
 „დგდა ენას“ კითხულობს,
 არ გეგონოთ ზარმაცი.

ნახატი მანანა მორჩილაძისა

ქ. შარტავის ს. ა. საქ. სსრ
 საბავშვო ბიბლიოთეკა
 ბი. ლიპინაძე

თავის ციხე-დარბაზი

ავთანდილ გურგენიძე

თავუნამ ააგო,
დიდი ციხე-დარბაზი,
სალ კლდესავით მაგარი,
მალალი და ლამაზი.
რკინის ბალოც იყიდა,
რკინის ჯაჭვიც იყიდა,
მერე ბიჭებს ციხიდან
გადასაბა რიხითა:

— ყველამ იცით, ვერაგმა
ფისუნამ რა გვიყო:

დაგვარბია,
გავტელა,
აგვაოხრა,
ავვიკლო...

ამ ციხეში
ჩავადლოთ,
ამ ბალოზე

დავაბათ,
მზის სხივიც ვერ იხილოს,
მიფუხროთ დარაბა.

სამ თვეს აღარ ვალირსოთ
სასმელი და საჭმელი,

დავაცალოთ,
დავაჭრათ
ვებერთელა კლანჭები...
ვირთხამ უთხრა:

— ციხე გაქვს
ყველასაგან ნაქები,
შემკული და

შეკრული,
საუცხოოდ ნაგები.
ფისუნის მაკრატლით
კლანჭებს თუკი დავაჭრით,
დიდი სიამოვნებით

ვიქნებოდი დარაჯი...
...მაკრატელიც სასწრაფოდ

იქვე გამოიჭედა.
ის კი არვის უკითხავს,
ფისოს ვინ დაიჭერდა.



შენაჟი

შოთა ამირანაშვილი

ამ დილას უფროს ძამიკოს
ეხვეწებოდა ბაქარი:

— თუ ჩემი ძმა ხარ, ზალიკო,
მათხოვე შენი ფანქარი.

— შენ რომ ფანქარი გიჭირავს,
მაგ ფანქარს ვითომ რა უშავს?!

— რა და, დავწერე თუ არა,
სულ შეცდომები დაუსეა.



ჩაქუჩი

— რა სათამაშოც გიყიდე,

ყველა გატეხე, ბაჩა?

ბიჭუნამ მამას შეხედა:

— არა, ჩაქუჩი დარჩა!



ნორჩი პაციენტი

— კარგად გავსინჯა ექიმმა,
მიამბე შეილო ერთი?

— არც ისე კარგად, მამიკო, —

შესჩივლა ციცქნა ქეთიმ,

— ეჭირა ჩემი მაჯა და

იჯდა თავისთვის წყნარად,

თან საათს დასჩერებოდა,

მუშაობსო თუ არა.



ვიზინის მანქანა

მეია ხეთაშური

არის ერთი ბიჭი—ბადურის, დიდი ახირებული ვინმეა, ყოველ ზღაპარს ასე მაწყებინებს: იყოს და არა იყოს რა, მანქანაზე უკეთესი რა იქნებოდაო. ყოველთვის ასეა; სულ მანქანა და მანქანა. პურის მაღაზიაში შევადთ და, მანქანა მიყიდეთო, ზოლპარში წავიყვანთ და, მანქანა მაჩვენეთო. იმდენი სათამაშო მანქანა გვაყიდინა, იმ ფასად ერთ ნამდვილ „უიგულს“ შევიძენდით.

ჰოდა, მისმინეთ, ერთ ნამდვილ ამბავს მოგკყვებით: იყოს და არა იყოს რა, იყო ერთი მანქანა. სათამაშოების მაღაზიის ვიტრინაში იდგა და ადგილიდან არ იძვროდა. იყიებოდადნენ და იყიებოდადნენ დახტებუ დაწყობილი ნაირ-ნაირი სათამაშოები. ის კი ამაოდ ვიღოდა თავის მყიდველს. ისე მოხებრდა ერთ ადგილზე დგომა, იმაზეც დათანხმდებოდა, რომელიმე ცეკვ ბიჭს ნაწილ-ნა-

წილ დაეშადა და მერე თუნდაც აღარ აეწყო. ვიტრინის წინ ხშირად მოუსმენია ასეთი საუბარი:

— მამა,—შეხედე, რა დამაბი მანქანაა, მიყიდე, რა!

— რომელი, ესა? მართლაც, დამაბია, შევიდეთ და ვიყილოთ.

ვიტრინის მანქანა ძარიდან ბორბლებამდე წითლდებოდა, ალუდებოდა, იმედი მიეცემოდა, ნამდვილად მიყიდიანო. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, მუშტარი ყოველთვის მის ტყუპისცალს ყიდულობდა... ასე გავიდა ზაფხული, შემოდგომა და ზამთარიც დაიწყო.

ერთხელ, მაღაზიაში მამასთან ერთად ბადური შევიდა. თოფა. ბადურმა და მამამ გაპყიდველ ქალს მანქანა სთხოვეს. ქალმაც თარიღან გადმოიღო.

— ეგ არა, ვიტრინაში რომ დგეს, ის მინდა!

— ისეთი მანქანები სულ გავყიდეთ. ერთი კვირის შემდეგ გვექნებაო,—უპასუხა გამყიდველმა.



— მე სწორედ ის მანქანა მინდა, ვიტრინაში რომ დევს,—აიხირა ბაბაღურმა.

— ეგ მანდ უნდა იდგეს, არ იყიდება!

— რატომ?—გაიკვირვა ბიჭმა.

— სიღამაზისათვის, რათა ყველამ დაინახოს, როგორი სათამაშოები იყიდება ჩვენს მაღაზიაში.

— რამდენი ხანია მანდ დევს, ცოლა არ არის?—ცრემლი მოერიწ ბაბაღურს.

— რატომ არის ცოლა?!—გაუკვირდა გამყიდველ ქალს.

— აბა, თქვენ დაჯექით ვიტრინაში და არსად წახვიდეთ, გაძღებთ?

მამას გაეცინა. გამყიდველმა ქალმა წარბი მაღლა ასწია და ვიტრინის მანქანას შეხედა.

— კარგი,—უთხრა ბიჭს,—რაც იქნება, იქნება, წაიღე.

თვალის დახამხამებაში ავტომაობილი ბაბაღურის ხედში აღმოჩნდა. მანქანამ მაშინვე იგრძნო ბავშვის ხედების სითბო და დიდრონი ფარებიდან სიხარულის ცრემლები წამოსცვივდა.

ბაბაღურმა ფარები ცხვირსახოცით ამოუშრია.

— სველია? აბათ თოვლის წყალმა შემოყოფნა ვიტრინის მინიდან,—თქვა გამყიდველმა, ჩვარი აიღო და ვიტრინაში გადაიხარა, რათა მინა გაეწმინდა. მაგრამ მინა შიგნიდან მშრალი იყო, სათამაშოებს კი მაინც ყველას სველი ჰქონდა თვალი. ტირილი თოჯინა და დათუნია, ექიმი აიბოლიტი და სპილი, მაიმუნი და კურდღელი. ნინანგი სულაც არ ღვრიდა ნინანგის ცრემლებს, იგი თოჯინასავით გულწრფელად ტირიდა.

— ექიმი აიბოლიტი და სპილი მოგვეცით!—თხოვეს გამყიდველს პატარა გოგონამ და მისმა დედამ. გამყიდველმა ქალმა ჯერ დახსნა გახედა, სადაც ექიმი აიბოლიტი და სპილი ვწყო, მერე ბაბაღურის ხედში მომწყვედურ მანქანას და სათამაშოები ვიტრინიდან გადმოუწყო გოგონას.

ამის შემდეგ, რამდენჯერაც ბაბაღურმა იმ ვიტრინას ჩაუარა, მოეჩვენა, რომ სათამაშოებს აღარ უხებოდათ ღვინი, ისინი სულ ორიოდე დღეს კვლავობდნენ ვიტრინაში და მერე მათ ადგილს სხვა სათამაშოები იკავებდნენ.

ბაბია და შვილიშვილი

კ. გოგიაშვილი

დილით ზურკომ შესძახა:

— თოვლი მოსულა დიდი!..

— აღექი! შენს ფანჯარაზე
გაკაკუნებდა ჩიტი.

— ალბათ მოშვიდა... ბებია,
ზამთრობით რას ჭამს ჩიტი?

შეხე, ჩაცუცქდა ფისუნა,

ჩიტს ეპარება ფლიდი.

აგერ, შაშვებიც მოფრინდენ,

საწულებს როგორა შიათ,

ბებო, საკენკი მიეცი,

კარი დატოვოთ დია.

— აგერ, საკენკიც უწრიათ,
ჩვენ რომ მოვედით, დაფრთხენ,

გგონია, ჩიტებს შიშხილით

მოკლით დიდი საფრთხე?

მავათ საკეები სხვაცა აქვთ,

შწერის და ჭიის ნაცვლად

გეანლებიან სუროს და

უურმის ჩამომჭენარ მარცვალს.

მარად მწვანე ხე—ზოგზოგი

ნაუოფით არის საუსე,

დაფუსფუსებენ ჩიტები,

ტკბილად ცხოვრობენ ასე.

— კარგი ბებო ხარ!—თქვა ზურამ,

ციტას დააფლო ხელი,

ბიჭი ფერდობზე დაეშვა,

შესძახა: — ჰერი, ჰერი!



ნახატი მანანა გორჩილაძისა



ნახატები ზაურ დინსაძისა

ერთი ბიჭის გლახაკი

ინო ბაზარაშვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა ბიჭი. ერთხელ ამ ბიჭს დედამ უთხრა:

— ბებიასთან წადი, ჭიშკარი შევალე, ეზოში სამუშაოზე კაცლით საესე კალათა იღებმე-ბა, მხარზე შეიდგე და მომიტანეო.

ბიჭუნას ძალიან უყვარდა კაკლის მურაბა, სიხარულით გაიქცა კალათის მოსატანად.

ბებია კარგა შორს ცხოვრობდა. ბიჭმა ჯერ შარავნაზე იარა, მერე ორღობეში ჩაუხვია. მზიანი ამინდი იდგა. ცხელოდა. ბიჭი ღობის ძირას მწვანეზე ჩამოჯდა, ესიამოვნა სივრილე და წასვლა დაეზარა. „ნეტავე აქ მომიტანდეს ვინმე იმ კაცლით საესე კალათასო“, — ინატრა ბიჭმა. ეს ნატვრა იყო და ბილიკზე დინგა გოქმა ჩამოიბრინა.

— გოკო, გოკუნე! — შესძახა ბიჭმა, — მე ძალიან დავიღალე, წასვლის თავი აღარა მაქვს, მოდი, სიყვით ქვენ, ბებიჩემის ეზოში შედი, ჭიშკართან სამუშაოზე კაცლით საესე კალათა დვას, გაუყარე ეგ შენი კობტა დინგი და მომიტყუხტუხე. მე მხარზე შევიდგამ და დედას წაუვლებ. დედა გემრიელ მურაბას მოხარშავს. თუ ახალწელს ჩვენთან მოხვალ, ტყბილად დაგაბერებო.

— ვერა, ვერ წავალ, ბებიაშენი ქვას მდრუ-

ხავს ფერდში, ნეკნებს ჩამამტვრევს, — თქვა გოქმა.

— ფიჭვი ნუ გაქვს, ბებია შინ არ არის, ვენახში წასული საფურჩნად.

— ღრუტ, ღრუტ, მაშ, წავალ, — დაიღრუტუნა გოქმა და ხტუნვა-ხტუნვით დაეშვა ბილიკზე. გოკი მიხტის ბილიკზე. ბიჭუნა კი ზის გრილოში და ოცნებობს: „კაცლით საესე კალათას დედას მივუტან, დედა კაკლს ჯერ შაბიან წყალში მოხარშავს, მერე შაქრიანში, ბოლოს სიროფში ჩაჰყრის. პატარა ღობიანდის პარკს შეკერავს. შიგ ჩადებს ვანილის ტოტებს, მიხაკ-დარიჩინს, კიდევ სხვა საწვლვებლებს და ადუღებულ მურაბაში უძახებს.

იღუღლებს კაკალი დიდხანს, ძალიან დიდხანს, როცა მოხარშება, დედა ქვას გადმოდგამს ცეცხლიდან, საწვლვებლებით საესე პარკს თევზზე დადებს, მურაბას კი წაოწობა ქაშანურ ქილებში ჩაასხამს. ჰოდა, იმ პარკს ავიღებ და გამოვწუწუნი. უჰ, რა იქნება! დედა არ მომიკედეს. ისეთი სურნელოვანი და გემრიელი არაფერია, მთელ დედამიწის ზურგზე!

ამ ოცნებაშია ბიჭი, თან გზას გაჰყურებს. გოქს ელოდება, მაგრამ სად არის გოქი!

— ნეტავი რატომ არ მოდის, აქამდე რას აკეთებს?— გაიფიქრა ბიჭმა და ბილიკზე ახლა გაფხორილი, მუჭეჭებანი ინდაური გამოჩნდა.

— ინდაურო, ინდაურო,— უთხრა ბიჭმა,— მე ძალიან დავიღალე, მოდი, შენ წადი ბებიასთან, ნისკარტით ჭიშკარი შეაღე, იქვე სამურაბე კაკლით სავსე კალათა იდგმება, ვადაიკიდე შენს ხორკლიან კისერზე და აქ მომიტანე. მე დედას წაუღლებ, დედა გემრიელ მურაბას მოხარშავს, თუ ახალწელს ჩვენთან მობრძანდები, ტკბილად დაგაბერებო.

— ყურუმ, ყურუმ, წავიდოდი, მაგრამ ბებიაშენისა მეშინიან, ჯოხით გამომიდგება, საღლაც გამაგდებს, იქიდან სახლისაყენ გზას ვეღარ გავიგებ და მორჩა... ტურას ან მელას ვადავყურებო.

— ნუ გეშინიან, ბებია შინ არ არის, ვენახშია წასული საფურჩნად.

— ჰო, მაშ, წავალ,— დაიროხროხა ინდაურმა და გზას გაუღდა. მიღის ინდაური, მიადაგუნებს ბილიკზე, ბიჭი კი ისევ ღობის ძირას გრილოში ზის და ოცნებობს, როგორ მოხარშავს დედა კაკლის მურაბას დიდ, ახალ-მოკალულ, სპილენძის ქვაბში და, როგორ გამოწუწუნის სურნელოვანი სანელებლებით გამოტენილ პარკს.

კარგა დრო გავიდა. ღობეში ამოზრდილი აკაციების ჩრდილი დაგრძელდა, ინდაური მაინც არ ჩანდა, არც იმან მოიტანა სამურაბე კაკლით სავსე კალათა.

ელოდება ბიჭი ინდაურს, ელოდება და, აი, ბილიკზე მამალმა არ ჩამოიარა!



— მამალო, მამალო, ოქროს დედაჩემო, ლალის ბიბილოვანო, მე ძალიან დაუბოლოვებ მეზარება წასულა, მოდი, შენ წადი ბებიასთან, შედი ეზოში, ჭიშკართან კირში გამოყვანილი სამურაბე კაკლით სავსე კალათა დგას, ვადაიკიდე მაგ ღონიერ ფრთებზე და მომიბრძინე. მე მხარზე შევიდგამ და დედას წაუღლებ. დედა გემრიელ მურაბას მოხარშავს, თუ ახალ წელს ჩვენთან მოხვალ, ტკბილად დაგაბერებ.

— წავიდოდი, მაგრამ ბებია ჯოხით რომ მღრუზოს და ფეხი მომტეხოს?

— ბებია შინ არ არის, ვენახშია წასული საფურჩნად.

— მაშ წავალ,— თქვა მამალმა და გზას გაუღდა.

მიღის მამალი, მიაბაკუნებს ბილიკზე, ბიჭი კი ხან რბილ მწვანეზე კოტრიალობს, ხან— წამოჯდება და ოცნებობს; როგორ გამოწუწუნის სანელებლებით გამოტენილ სურნელოვან პარკს.

მოსალამოვდა, მზე უკვე მთებისკენ ვადაიხარა, მამალი მაინც არა ჩანს. კიდევ დიდხანს ელოდა ბიჭუნა. რაკი მამალიც არ გამოჩნდა, ადგა და თვითონ წაბრძანდა. ჩაიარა ბილიკი ზმორებ-ზმორებით, შევიდა ბებიას ეზოში, მაგრამ რას ხედავს! გოქს კალათა მოუპირ-ქვავებია, მთელი ეზო კაკლით მოუბზნია. მამალი და ინდაურიც იქ არიან, ფეხით ქვექავენ კაკალს. აბა, რალს წაიღებდა ბიჭი, ხელცარიელი გამობრუნდა. ჰოდა, ის პატარა ბიჭუნა თუ სურნელოვანი სანელებლებით სავსე პარკს ვეღარ გამოწუწუნის და ვეღარც ახალ წელს დედის მოხარშულ პრიალ-პრიალა კაკლის მურაბით ჩაიკოკლოზინებს პირს, თავის სიზარმაცეს დააბრალოს.

ზამთრის დღეა

მზისა და მთისა
მზისა და მთისა

— მცოცა,
მომკლავს ეს ქარბუქი,—
დაკანკალვს ტყეში ტურა,—
აღარ მათბობს ძველი ქურქი,
ვაი, ქულიც არა მხურავს!

ტყე-
ხევ-ხევი,
მთა და ველი
ყინვა—თოვლმა გადაბურა,
არც სასმელი,
არც საჭმელი,
მშია,

მშია,—ტირის ტურა.
ციყუენებს კი ფულუროში
გაუმართავთ ტაშ-ფანდურა!
ბლომად წაბლი,
ბლომად თხილი,
ხმელი სოკო,
ხმელი ხილი.
ნაშრომს ტკბილად მიირთმევენ,
ყოველდღე აქვთ
დიდი ღზინი.

ნახატი გრიგოლ გაფრინდავნილისა





ქეთი


სულხან აბლაღაძე

— რა კარგი გოგო ყოფილხარ,
ჩემო პატარა ქეთი.
რამდენი წლის ხარ?
— რამდენის?
დედა, რომ მოვა გეტყვი!




ენიღა

დავიბადე თუ არა,
ფეხი დაფეგი მიწაზე,
იციხ ცამ და ქვეყანამ,
გავიარე იმწამსვე.



წესწესები



ზამთარი თბილისი

მელა ხოვასურიძე

თოვლის ფიფქმა შევნაბადას
და მახათას მთების გარდა,—
ხერხებიც და გორაკებიც
ერთიანად გადაბარდნა...
ყველა ქუჩა, ყველა სკვერი
თეთრი ფერით შეფიფქულა
და მთაწმინდა მოჩანს შორით,
როგორც დიდი ბაშბის ქულა.

შეაგვთ ცარიელი უჯრედები ფრინველთა
სახელწოდებებით ისე, რომ ფერად სვეტში
მიიღოთ ქართული ენობრივი სიმღერის სა-
ხელწოდება.

შეადგინა წაღწევის რაიონის კანთის
სკოლის მოსწავლემ აზა მუხუღლიამ.

სიზმარში

ნელი დარსაველიძე

ბებო, წუხელ სიზმარში
ვესოდე ლამაზ ფანჯრებს,
ერთი ცალი მოგვსოვე,
მოგიტანე, გაჩუქე-
წემო კარგო ბებიკო,
ვიცი, არ გეწყინება,
მეორე ცალს მოგიქსოვე,
კვლავ რომ დამეძინება.

კანკა

ივრჩი ხარაძე

დანავარდობს ტყეში ქარი,
პანტა-პუნტიტ ცვიფა პანტა.
უხარია დათუნისა—
პანტას პანტა შიგმატა...

მეხუსი



ფიფქი

ლიდა სტვილია

ფიფქი, ფიფქი, ფიფქელა,
მალლა ცაში იფქვება...
მერე ფარფატ-ფარფატით
ველ-მინდორზე იფრქვევა...
დაბლა თეთრი წისქვილი გვაქვს,
აღმათ მალლაც იქნება.

კაგუნას სიმღერა

ნანა ღვინევაძე


ჭინჭის ფისო დავბანე,
გადავკიდე ბაწარზე,
ორი ცვარი მარგალიტი
შერჩენია წამწამზე.

15780

0 1342

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგელ გზარეს უნდა დაგვიჩვენოს ძირ სხარაქიგულამ სან-
ლარი, რომ ჩაქურგა ქვარსნი გავხროს?



ნახატი მიხეილ სოლოვიოვისა

საქ. კ. ცე-ის
გამოცემლობა
Издательство
ЦК КП Грузии

შავარი ტელექტორი შიზრან მამბარბაიანი

მარტვილი კოლხეთი: პანკორ აბულაშვილი, იმერალ აბოლაძე, კაჭარი გომბაშვილი, ლილია ბრამი, მამბარა მამბარბაიანი, ჯიშვილი შაჭვირი, ვიორაგი რომიშვილი (საზ. ტელექტორი), იორაგი მამბარბაიანი (კ/გ. მდებანი) რომბარბაიანი, გიორგი მამბარბაიანი

საქ. ალექ. ცე-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის მოსწერეთი ორგანიზაციის რეგისტრირებული საბჭოს ფურცლი, უფლებ ნახატი ვიორაგი რომიშვილისა გამოცემის 51 წელი

ტექნოლოგიური მწიფე წიგნი

მისამართი: რედაქციის გამოცემლობის, სტამბის-თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მო. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15, კ/გ მდებანი — 93-10-32, 93-98-17, საზ. რედაქტორის — 63-98-16, კანკელი — 93-98-19; სამდებანი — 93-98-16.

გადაცემა ასეულობა /19X-77 წ., ტელეფონითა დასახელებული 20X11-77 წ., ქალაქის ზომა 60X90 სმ, ფონ. ნომ. ფურც. 25, ტირაჟი 157.000. ზეც. № 8142. „მსა“ № 1. ნა გრუიანკომ რაზკ. ფასი 20 კაპ.